ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N 11

26.07.2018

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. სამედიცინო ფაკულტეტიდან ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამის „ოკუპაციური თერაპია" გადმოტანის საკითხი
2. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის „თსუ ფსიქოლოგია" გამოცემისთვის მსვლელობის მიცემა
3. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ზ. ხოჯავას და ნ. ბერულავას „ფსიქოლოგიის ცნება-ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის" გამოცემისთვის მსვლელობის მიცემა
4. პროფესორ მზია წერეთლის შემოქმედებითი შვებულების საკითხი
5. დისერტანტების თემების სათაურებში ცვლილებების დამტკიცება
6. დოქტორანტების: მირანდა გიორგაშვილის, ლია დავითაძის, მზექალა აჭაიძის მიერ დასრულებული დისერტაციებისთვის მსვლელობის მიცემა და სადისერტაციო ნაშრომების დაცვის პროცედურების დაწყება;
7. ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცება
8. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები:

მზია წერეთელი, ლალი სურმანიძე;

ასოცირებული პროფესორები :

მაია მესტვირიშვილი, ანი ქიტიაშვილი, თამარ აბაშიძე, გიორგი გოროშიძე, შორენა მამუკაძე, ლუიზა არუთინოვა, მანანა მელიქიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ვახტანგ ნადარეიშვილი, ნინო ლაბარტყავა, ია აფთარაშვილი.

ასისტენტ პროფესორები:

ირინე გედევანიშვილი

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

ზაქარია ქიტიაშვილი, ეთერ ღვინერია, იზაბელა პეტრიაშვილი

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა **სულ 19 წევრი**

მოისმინეს:

1. სამედიცინო ფაკულტეტიდან ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამის „ოკუპაციური თერაპია" გადმოტანის საკითხი. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თამარ გაგოშიძემ დამსწრეთ მოახსენა, რომ 2 წელია მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან მიმდინარეობს კონსულტაციები ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით. მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაცია შეშფოთებულია იმით, რომ ოკუპაციური თერაპიის მეტად საჭირო სპეციალობა მათ ფაკულტეტზე მიმზიდველი არ არის სტუდენტებისათვის; ის ვერ უწევს კონკურენციას მედიცინის საგნამანათლებლო პროგრამას. მიღებული 10 სტუდენტიდან უმეტესობა მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადადის და ოკუპაციური თერაპიის პროგრამას სულ ერთეულები ამთავრებენ. ამავე დროს საქართველოს შრომკთ ბაზარზე ოკუპაციური თერაპევტის მოთხოვნა ძალიან დიდია. თბილისში რეაბილიტაციის, ფსიქოლოგიურ და ბავშვთა განვითარების ცენტრებში ოკუპაციური თერაპევტების ნაკლებობაა, რეგიონებში კი საერთოდ არ არიან ასეთი სპეციალისტები. შესაბამისად, ოკუპაციურ თერაპევტთან ლოდინის ხანგრძლივობა საშუალოდ 3 თვეა. სამედიცინო ფაკულტეტის დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მსჯელობის შედეგად დადგინდა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირების უპირატესი მიზანშეწონილება. როგორც ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ასევე სამედიცინო ფაკულტეტის ადამინისტრაციას მიაჩნია, რომ ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის არსებობა ხელს შეუწყობს პროგრამით დაინტერესებულ და პროგრამაში მოხვედრის მსურველთა რაოდენობის ზრდას;

აზრი გამოთქვეს:

პროფ. მ წერეთელმა იკითხა, რა პერსპექტივა ექნება საბაკალავრო პროგრამას ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე და თუ მოყვება მას აკადემიური პერსონალი. პროფ. თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ინდივიდისადმი და მისი შეზღუდვებისადმი ფსიქოლოგიურ მეცნიერებას და ოკუპაციურ თერაპიას მსგავსი - ფსიქო-სოციალური მიდგომა აქვთ. ორივე სფეროში ინდივიდის კეთილდღეობა განიხილება, როგორ უმაღლესი მრავალმხრივი ადაპტაცია და ადაპტაციისათვის საჭირო ასიმილაციის და აკომოდაციის ხელშეწყობა. ფსიქოლოგებისთვისაც მიმზიდველი იქნება ამ საბაკალავროს მაინორ პროგრამა, რადგანაც ეს გაზრდის მათი განვითარების სპეციალისტებად თუ რეაბილიტაციის ცენტრის ფსიქოლოგებად დასაქმების ალბათობას. რადგანაც ეს სფერო ახალია საქართველოსთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები არ არიან. პროგრამას მოყვება ორი შემსრულებელი, ოკუპაციური თერაპიის მაგისტრები, რომლებიც არ არიან აკადემიური პერსონალი და საათობრივად არიან დაკავებული სწავლებით აღნიშნულ პროგრამაში.

კენჭი უყარეს:

მომხრე - 19
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0.

დაადგინეს:

ფაკულტეტის საბჭო თანახმაა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადმოვიდეს ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა მედიცინის ფაკულტეტიდან და მისთვის შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

2. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის „თსუ ფსიქოლოგია" გამოცემისთვის მსვლელობის მიეცმა.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პრო. თ. გაგოშიძემ მოახსენა საბჭოს, რომ მას მიმართა წერილით პროფესორმა ლალი სურმანიძემ, ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის „თსუ ფსიქოლოგია" მთავარმა რედაქტორმა იმის თაობაზე, რომ დასრულდა ჟურნალის პირველი ნომრის სტატიების რეცენზირება და ჟურნალი მზადაა გამოსაცემად. ჩატარდა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს სხდომა, რომელიც შუამდგომლობს ფაკულტეტის საბჭოსთან მიეცეს მსვლელობა ჟურნალის გამოცემას ელექტრონული ფორმით.

კენჭი უყარეს:

მომხრე -19
წინააღმდეგი-0
თავი შეიკავა -0.

დაადგინეს:

გადაეცეს თსუ-ის საგამომცემლო საბჭოს ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალი „თსუ ფსიქოლოგია" ელექტრონული ფორმით გამოსაცემად.

3. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ზ. ხოჯავას და ნ. ბერულავას „ფსიქოლოგიის ცნება-ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის" გამოცემისთვის მსვლელობის მიცემა.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ მოახსენა საბჭოს, რომ მას მიმართა ემერიტუს პროფესრომა, ქალბატონმა დამანა მელიქიშვილმა და გადასცა ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის, განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლის ზოსიმე ხოჯავას და ფსიქოლოგ ნადეჟდა ბერულავას ფსიქოლოგიის ცნება-ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. აღნიშნული ლექსიკონი 1992 წელს უნდა გამოცემულიყო, რედაქტირებული იყო პროფესორ ვიტალი კაკაბაძის მიერ დასაბეჭდად ვიზირებული იყო პროფ. ვ. ქვაჩახიას მიერ. სამწუხაროდ ცნობილი თბილისის მოვლენების გამო ლექსიკონი ვეღარ გამოიცა. 2012 წელს პროფ. ნათელა იმედაძეს აქვს რეცენზირებული აღნიშნული ლექსიკონი. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭომ იმსჯელა და დაადგინა,

რომ თსუ 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით სწორედ კარგი იქნება ასეთი რარიტეტული ლექსიკონის გამოშვება, რომელიც აქტუალობას არც ახლა კარგავს. ფსიქოლოგიაში დღეს არ გვაქვს განმარტებითი ლექსიკონი, მით უმეტეს, რომ ამ ლექსიკონში სხვა მეცნიერებათა ისეთი ტერმინებიცაა განმარტებული, რაც ფსიქოლოგიის მეცნიერებაშიც გამოიყენება.

აზრი გამოთქვეს:
ასოც. ეკატერინე ფირცხალავამ აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის ძალიან კარგი საჩუქარი იქნება ასეთი ლექსიკონის გამოცემა და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტისთვის შესანიშნავი საიუბილეო მოვლენა იქნება, რომელიც ასევე პატივს მიაგებს ასეთი მეცნიერების ხსოვნას.

კენჭი უყარეს:

მომხრე -19
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0

დაადგინეს:
გადაეცეს თსუ-ის საგამომცემლო საბჭოს ზ. ხოჯავას და ნ. ბერულავას „ფსიქოლოგიის ცნება-ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი" ბეჭდვითი ფორმით გამოსაცემად.

4. პროფესორ მზია წერეთლის შემოქმედებითი შვებულების საკითხი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ მოახსენა საბჭოს, რომ განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მზია წერეთელმა მიმართა წერილით შემოქმედებით შვებულებაში გასვლის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ პროფ. მ. წერეთელი გეგმავს თავისი მრავალკომპონენტიანი კვლევის განხორციელებას, რაც მისი სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზანი იყო. მან ინსტიტუტში პროფესორებზე გაანაწილა თავისი დატვირთვა და სურს 2018 წლის 17 სექტემბრიდან 2019 წლის 17 თებერვლამდე იმუშაოს თავის კვლევაზე.

კენჭი უყარეს:

მომხრე -19
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0

დაადგინეს:

ეშუამდგომლოს პროფესორ მზია წერეთელს აკადემიურ საბჭოსთან შემოქმედებითი შვებულების თაობაზე 2018 წლის 17 სექტემბრიდან 2019 წლის 17 თებერვლამდე.

5. დისერტანტების თემების სათაურებში ცვლილებების დამტკიცება

ასოც. პროფესორმა ლუიზა არუთინოვმა წარმოადგინა ფაკულტეტის სადისერტაციო დარგობრივ კომისიაში შემოსული მომართვები დოქტორანტების სადისერტაციო თემის სათაურის დაზუსტებისა და შეცვლის შესახებ. კერძოდ,

დოქტორანტ ნაზი ფარსადანიშვილის სადისერტაციო თემის რედაქტირებული სათაური - „სტიგმის აღქმის და სოციალური იდენტობის კვლევა საქართველოში მცხოვრებ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობაში."

დოქტორანტ ანა მენაღარიშვილის სადისერტაციო თემის სათაური - „არაფორმალური პოლიტიკური მონაწილეობა: პიროვნული ნიშნები და ღირებულებები."

დოქტორანტ გიორგი ჭუმბურიძის სადისერტაციო თემის სათაურის დამტკიცება - "სტრესის დაძლევის სტრატეგიები."

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფესორებმა ლ. არუთინოვმა, მ . მელიქიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ სათაური ძალიან ზოგადია და მოითხოვს დაკონკრეტებას. ასოც. პროფესორმა ქიტიაშვილმა შესთავაზა შემდეგი ფორმულირება: „აკადემიურ სფეროში სტრესის დაძლევის სტრატეგიები", რადგან კვლევა განათლების , სასწავლო სფეროს ეხება. მან შესთავაზა საბჭოს ამ ფორმულირებით ეყაროს ჯენჭი სათაურს.

კენჭი უყარეს:

მომხრე -19
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0

დაადგინეს:

ეშუამდგომლოთ დოქტორანტებს: ნაზი ფარსადანიშვილს, გიორგი ჭუმბურიძეს და ანა მენაღარიშვილს თსუ-ის სადისერტაციო საბჭოსთან სადისერტაციო თემების სათაურების დამტკიცების თაობაზე.

6. დოქტორანტების: მირანდა გიორგაშვილის, ლია დავითაძის, მზექალა აჭაიძის მიერ დასრულებული დისერტაციებისთვის მსვლელობის მიცემა და სადისერტაციო ნაშრომების დაცვის პროცედურების დაწყება.

ასოც. პროფესორმა ლუიზა არუთინოვმა მოახსენა საბჭოს, რომ დოქტორანტებმა მირანდა გიორგაშვილამ, ლია დავითაძემ და მზექალა აჭაიძემ წარმოადგინეს დასრულებული დისერტაციები. მათი ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილია წერილები იმის თაობაზე, რომ დისერტანტმა დაასრულა მუშაობა სადისერტაციო თემაზე და დისერტაცია მზადაა დასაცავად. საჭიროა სადისერტაციო ნაშრომების დაცვის პროცედურების დაწყება.

კენჭი უყარეს:

მომხრე -19
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0

დაადგინეს:

ეშუამდგომლოს თსუ სადისერტაციო საბჭოსთან მირანდა გიორგაშვილს, ლია დავითაძეს და მზექალა აჭაიძეს დისერტაციის დაცვის პროცედურების დასაწყებად.

7. ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცება

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პრო. თ. გაგოშიძემ მოახსენა საბჭოს, რომ ფაკულტეტზე პროფესორების და სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ განხილულ იყო სტრატეგიული განვითარების გეგმა, გათვალისწინებულ იქნა შენიშვნები და კორექტირებული სტრატეგიული განვითარების გეგმა ისევ გაგზავნილ იქნა აკადემიურ პერსონალთან უკუკავშირისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი შენიშვნები არ იყო მიღებული და ამიტომ გამოაქვს დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოზე

აზრი გამოთქვეს:

პროფ. მ. მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ სტრატეგიული გეგმის მიზნები ფაკულტეტის მიერ განსაზღვრულ ნიშნულებს შეესაბამება და თავსებადია თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. პროფ. გ. გოროშიძემ იკითხა, არის თუ არა გათვალისწინებული ახალი პროგრამების შემუშავება ამ გეგმაში. პროფ. ლ. სურმანიძემ უპასუხა, რომ გეგმის სასწავლო კომპონენტში სწორედ ახალი პროგრამების შემუშავების ხელშეწყობაა ერთ-ერთი მიზანი. ასოც. პროფესორებმა ე. ფირცხალავამ და ლ. არუთინოვმა იკითხეს, იქნება თუ არა გეგმით გათვალისწინებულ სამეცნიერო აქტივობებში, კერძოდ პროექტების განხორციელებაში უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერა. პროფ. თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციასთან აუცილებელია მოლაპარაკება შიდა საუნივერსტიეტო გრანტების ფაკულტეტისთვის აღდგენის თაობაზე. აღნიშნული სისტემა ძალიან კარგად მუშაობდა ფაკულტეტზე და სერიოზული ბიძგი მისცა სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებას.

კენჭი უყარეს:

მომხრე -19
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0

დაადგინეს:

დამტკიცდეს ფაკულტეტის 2018-2024 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა

სხვა:

8. დოქტორანტ თინათინ ბანძელაძისათვის სამეცნიერო თანახელმძღვანელად კორუნას უნივერსიტეტის (ესპანეთი) პროფესორის პაბლო ესპინოზას დამტკიცება.

ასოც. პროფესორმა ლუიზა არუთინოვმა მოახსენა საბჭოს, რომ „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, თინათინ ბანძელაძე, რომლის ხელმძღვანელია ასოც. პროფესორი ლუიზა არუთინოვი, თანამშრომლობდა კორუნის უნივერსიტეტის პროფესორ პაბლო ესპინოზასთან ერაზმუსის პროგრამის ფარგლებში. პროფესორ ესპინოზამ თინათინ ბანძელაძის სადისერტაციო თემის თანახელმძღვანელობის სურვილი გამოთქვა, რადგანაც მისთვის საინტერესოა კრიმინალური ქცევის ფსიქოლოგიური მახასიათებელების კვლევა.

კენჭი უყარეს:

მომხრე -19
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0

დაადგინეს:

ეშუამდგომლოს დოქტორანტ თინათინ ბანძელაძეს თსუ-ის სადისერტაციო საბჭოსთან სამეცნიერო თანახელმძღვანელად კორუნას უნივერსიტეტის (ესპანეთი) პროფესორის პაბლო ესპინოზას დამტკიცების თაობაზე.

9. მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო პროგრამაზე 25 ფასიანი ადგილის გამოცხადება

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმა განაცხადა, რომ მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო პროგრამაზე გამოყოფილია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული 25 ადგილი. მისი აზრით კარგი იქნებოდა კიდევ 25 ფასიანი ადგილის მოთხოვნა იმ მიზნით, რომ აიწევდა პროგრამის კონკურენტუნარიანობა და გამოჩნდებოდა აბიტურიენტების მოტივაცია.

კენჭი უყარეს:

მომხრე -19
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0

დაადგინეს:

დაემატოს 25 ფასიანი ადგილი მასწავლებელთა მომზადების საბაკალავრო პროგრამას.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი / /